

УДК 159.937.1

დამოკიდებულების კონგრუენტული მოქმედების და რევერსული შეფასების კანონი (განწყობის მოქმედების კანონები)

გოროშიძე გიორგი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჭავჭავაძის გამზ. №11

ანოტაცია

განწყობის ტრადიციული გაგება და არსებული მიდგომები ვერ ფარავენ მთელ იმ მრავალფეროვნებას, რომელიც იქმნება მისი და მისი ფუნქციონის პირობების მრავალფაქტორული ბუნების საფუძველზე. ახლებური მიდგომით გამოიყოფა: 1) განწყობის მოქმედების **3 კანონი** - „განწყობის რევერსული შეფასების კანონი“, „განწყობის კონგრუენტული მოქმედების კანონი“, „განწყობის კონგრუენტული მოქმედების და რევერსული შეფასების კანონი“; 2) საგანწყობო მიმართებების **3 სახეობა** - „შეფასება-შეფასება“, „მოქმედება-შეფასება“ და „მოქმედება-მოქმედება“; 3) განწყობის **3 კატეგორია** - „სუბიექტური მდგომარეობა“, „დამოკიდებულება“ და „ქმედების განწყობა“; 4) განწყობის **3 ტიპი** - „კოგნიტური განწყობა“, „ემოციური განწყობა“ და „კონატური განწყობა“. მინიმალისტური გათვლებით ისინი ქმნიან 27 კომბინაციას ($3 \times 3 \times 3 = 27$). მათ შორის ყველაზე მეტად არის დაწინაურებული **„დამოკიდებულება“**, რომელიც, თავის მხრივ, ასოცირებულია „მოქმედება-შეფასების“ მიმართებებთან და „ემოციური განწყობის“ ტიპთან. დამოკიდებულება, როგორც განწყობის ერთ-ერთი კატეგორია, პოულობს დიდ გავრცელებას ადამიანებს შორის ურთიერთობებში, მარკეტინგის სფეროში და სხვ. იგი რეალისტურად აღწერს ადამიანის ტიპურ აქტივობებს და იძლევა მისი მოქმედების პროგნოზირების ფართო შესაძლებლობებს.

საკვანძო სიტყვები: განწყობა, განწყობის კანონები, დამოკიდებულება, რევერსია, კონგრუენტულობა, შეფასება.

განწყობის ფსიქოლოგიაში განწყობის ცნობილ ეფექტებს შორის უმთავრესებად ითვლება ასიმილაცია და კონტრასტი. როგორც ხსენებულ თეორიაში არის მიჩნეული, განწყობა განაპირობებს ინდივიდის ადაპტაციის ერთიან პროცესს, რომელშიც ადგილი აქვს ამ ორი მოვლენის ურთიერთმონაცვლეობას. განწყობა, იმავდროულად წარმოადგენს ადამიანის ადეკვატური და მიზანშეწონილი ქცევის საფუძველს. ინდივიდუალური ქცევა და ადამიანთა შორის ურთიერთობებიც ამ ადაპტაციური მექანიზმის ფუნქციონირების ფარგლებში ხორციელდება. თავად მიზანშეწონილი ადაპტაციური პროცესი ისეთი მდგომარეობის მიღწევას ემსახურება, რომლის საფუძველზე განვითარებული აქტივობაც სულ უფრო მეტად უახლოვდება ამ აქტივობის „კომფორტულ ზონას“. ეს ზონა, თავის მხრივ, უფრო მეტ შესაბამისობაში მოდის ცოცხალი ბუნების ფუნქციონირების უზოგადეს პრინციპებთან. ამ პრინციპთაგან ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენს მოქმედება სასიცოცხლო ძალების დაზოგვით: მეტი სარგებლის მიღება ნაკლები დანახარჯების გაღების საფუძველზე (ეკონომიურობის პრინციპი). რაც უფრო სწრაფად მატულობს ასეთი ქცევის

განხორციელების ალბათობა, მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს ადაპტაცია. ეს ადაპტაციური პროცესი ყოველთვის ერთნაირად არ მიმდინარეობს. მასზე შეიძლება ზეგავლენას ახდენდნენ ინდივიდის ისეთი თავისებურებანი, როგორებიცაა: რიგიდობა, როგორც შემაფერხებელი მოვლენა და ფლექსიბილობა, როგორც ხელშემწყობი მოვლენა. ზემოხსენებული „კომფორტული ზონა“ სუბიექტურად განიცდება როგორც ნეიტრალური მდგომარეობა, რომელიც არ ითხოვს საგრძნობი ძალისხმევის გაღებას და ამიტომ ხელს უწყობს მეტი ალბათობით ასეთი მოქმედების განხორციელებას აღნიშნული ბუნებრივი ტენდენციის საფუძველზე.

განწყობის თეორიაში ასიმილაციის ეფექტს ენიჭება განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან გულისხმობს სუბიექტური მდგომარეობის და ობიექტური ვითარების ერთმანეთთან შესაბამისობის მიღწევას, მიმსგავსებას. ამ თვისებით ასიმილაცია ეთანხმება ინდივიდის მიერ ადეკვატური და მიზანშეწონილი ქცევის განხორციელების „წესს“, რომელიც ადაპტაციის დანიშნულებას წარმოადგენს. რაც შეეხება კონტრასტის ეფექტს, იგი ითვლება ადეკვატურობის დარღვევად, რეალობის ილუზორულ ასახვად, რომლისგანაც თავის დაღწევას საჭირო ადეკვატურობის და მიზანშეწონილობის აღსადგენად. ეს წინააღმდეგობრივი აზრები ჩნდება მაშინ, თუკი განწყობისეულ პროცესებს მხოლოდ ერთი პოზიციიდან შევხედავთ. სხვა პოზიციიდან კონტრასტის ეფექტიც ქცევის ადეკვატურობის ისეთივე ხელშემწყობია, როგორც ასიმილაცია. ვითარება ემსგავსება ადაპტაციის გაგებას ჟან პიაჟეს ცნობილი თეორიის მიხედვით, რომლის თანახმადაც ადაპტაცია ხორციელდება ასიმილაციის და აკომოდაციის მჭიდრო ურთიერთქმედებით.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობები ეხება „მოქმედება-შეფასების“ შემთხვევებს, როდესაც ინდივიდი ახდენს ჩვეული მოქმედებისგან განსხვავებული მოქმედების შეფასებას. ამის გარდა არსებობს აგრეთვე „შეფასება-შეფასების“ ვითარებებიც, როდესაც ინდივიდი მხოლოდ აფასებს ობიექტებს თუ მოვლენებს როგორც მასზე ამ ობიექტების მრავალჯერად ზემოქმედებამდე, ისე მის შემდეგ. მნიშვნელოვანია აგრეთვე „მოქმედება-მოქმედების“ შემთხვევებიც, როდესაც ინდივიდი მონაცვლეობით ახორციელებს ადრინდელ და ახალ მოქმედებებს. ეს სამი შემთხვევა ამოწურავს ყველა შესაძლო მიმართებას, რომლებიც შეიძლება არსებობდეს ინდივიდის შეფასებებში, მის მოქმედებებში და ასევე შეფასებებსა და მოქმედებებს შორის.

განწყობის კლასიკურ ექსპერიმენტებში მეცნიერები ძირითადად დაკავებულნი იყვნენ ადამიანის „შეფასება-შეფასება“ მიმართებათა შესწავლით, როდესაც ხდებოდა გარკვეული ობიექტების შეფასების თავისებურებათა შესწავლა საგანწყობო ობიექტების ზემოქმედებამდე და ამ ზემოქმედების შემდეგ. ე.ი. ორივე შემთხვევაში შეისწავლებოდა ადამიანის შეფასებითი აქტივობები. ამ მიმართებათა ფარგლებში მოხდა განწყობისეულ გამოვლინებათა დიდი მრავალფეროვნების შესწავლა. აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილის და მისი თანამშრომლების მეშვეობით მოხდა კვლევების არეალის გაფართოება „მოქმედება-შეფასების“ მიმართებებზე, როდესაც მოტორიკაზე საგანწყობო ზემოქმედების შემდეგ ხდებოდა ამ ზემოქმედების შედეგის სუბიექტური შეფასება. ე.ი. მოცემულ კვლევებში შეისწავლებოდა მოტორული და შეფასებითი აქტივობები. განხორციელდა ამ მიმართებათა მრავალმხრივი შესწავლა, რამაც დასაბამი მისცა ცნობილი ფსიქოლოგიური კანონის ჩამოყალიბებას: „განწყობის ასიმილაციური მოქმედების და კონტრასტული შეფასების კანონი“ [1]. კანონში გარკვევით არის ნაჩვენები, რომ ადამიანს განწყობის ფუნქციობის სფეროში ახასიათებს მოქმედების

ასიმილაციური ეფექტი, ხოლო შეფასების სფეროში კონტრასტული ეფექტი. რაც შეეხება „მოქმედება-მოქმედება“ მიმართებებს, ისინი ადრე ნაკლებად იყო მოქცეული მეცნიერთა ყურადღების ველში. ამ მხრივ გამორჩეული ექსპერიმენტული კვლევები, ჩატარებული და ინტერპრეტირებული აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილის მიერ მის მონოგრაფიაში - „ანთროპული განწყობა“ -, რომელიც წარმოადგენს დ. უზნაძის განწყობის თეორიის შემდგომ განვითარებას, იძლევა იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ განწყობის კრიტიკულ ცდებში, სწორედ რომელთა საფუძველზეც შეისწავლება განწყობის გამოვლინებათა კანონზომიერებანი, როგორც წესი, ადგილი აქვს მოქმედების ასიმილაციურ ეფექტებს [2].

ზემოთაღწერილი კვლევების შედეგების შედარების საფუძველზე, შეიძლება ჩამოყალიბებული იქნას განწყობისეული პროცესების მრავალფეროვნებისთვის შემდეგი ზოგადი „ლოგიკა“: 1. „შეფასება-შეფასება“ ტიპის აქტივობათა განხორციელებისას ადგილი აქვს უმთავრესად განწყობის კონტრასტულ ეფექტებს; 2. „მოქმედება-მოქმედება“ ტიპის აქტივობათა განხორციელებისას ადგილი აქვს უმთავრესად განწყობის ასიმილაციურ ეფექტებს; 3. „მოქმედება-შეფასება“ აქტივობათა განხორციელებისას ადგილი აქვს განწყობის ასიმილაციური მოქმედებისა და კონტრასტული შეფასების ეფექტებს. ეს საბოლოო, როგორც ზემოთ აღნიშნა, ფსიქოლოგიური კანონის სახელით არის ცნობილი მეცნიერებაში და დაიმკვიდრა საპატიო ადგილი სხვა ფსიქოლოგიურ კანონთა შორის. აღნიშნული კანონის ფუნდამენტური ხასიათი ითხოვს მსჯელობათა შემდგომ განვითარებას განწყობის დანარჩენი ორი ტიპის აქტივობის („შეფასება-შეფასება“ და „მოქმედება-მოქმედება“) გამოვლინებათა ფუნდამენტურობის შესახებ, ვინაიდან სამივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთ მოვლენასთან - განწყობასთან - და ძნელი წარმოსადგენია, რომ პირობათა თანაბრობის შემთხვევაში იგი სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდეს. ასეთი განაცხადის გაკეთების საფუძველს იძლევა მრავალი ექსპერიმენტული კვლევის შედეგები, ჩატარებული „შეფასება-შეფასება“ ტიპის აქტივობათა ფარგლებში განწყობის ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა მიერ და აგრეთვე „მოქმედება-მოქმედება“ ტიპის აქტივობების ექსპერიმენტული კვლევის შედეგებიც, რომლებიც ზემოთ იქნა აღნიშნული. ამრიგად, განწყობის „შეფასება-შეფასება“ და „მოქმედება-მოქმედება“ ტიპის აქტივობათა კანონზომიერებებსაც სრულიად მართებულად უნდა მიენიჭოს კანონის სტატუსი და მთლიანობაში ჩამოყალიბდეს განწყობის მოქმედების კანონთა სამი ნაირსახეობა: „შეფასება-შეფასება“ ტიპის შემთხვევებისთვის - **„განწყობის კონტრასტული შეფასების კანონი“**; 2. „მოქმედება-მოქმედება“ ტიპის შემთხვევებისთვის - **„განწყობის ასიმილაციური მოქმედების კანონი“**; 3. „მოქმედება-შეფასება“ ტიპის შემთხვევებისთვის - **„განწყობის ასიმილაციური მოქმედების და კონტრასტული შეფასების კანონი“**. აღნიშნული კანონების მოქმედების უტყუარობიდან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოდ, რომ განწყობის პროცესთა შესწავლის დროს ამ კანონების სპეციფიკურ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობა შეიძლება აღმოჩნდეს მცდარი დასკვნების კეთების საფუძველი როგორც არსებულ განწყობისეულ პროცესთა კორექტული გააზრების თვალსაზრისით, ისე ინდივიდის ქცევისეული აქტივობების ადეკვატური პროგნოზირების თვალსაზრისით.

განწყობა, როგორც ქცევის მექანიზმი, ხასიათდება მოქმედებაში გადასვლის ტენდენციის სხვადასხვა ხარისხით („ინტენსივობით“, ალბათობით), რაც თანაბრად ეხება განწყობისეული ეფექტების სამივე აღწერილ სახეობას. ზოგადად შეიძლება

გამოიყოს განწყობის მიერ მოქმედების გამოწვევის სამი ძირითადი ხარისხი (ალბათობა): მინიმალური, საშუალო და მაქსიმალური. მოქმედებაში გადასვლის მინიმალური ალბათობის შემთხვევაში საუბარი შეიძლება ვიქონიოთ მხოლოდ განწყობისეული მდგომარეობის შესახებ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანი გარემოსთან (ან სოციალურ გარემოსთან) ურთიერთობის აქტუალობას დიდად არ განიცდის. განწყობის ამ კატეგორიას შეიძლება შეესაბამებოდეს დასახელება „სუბიექტური მდგომარეობა“. მოქმედებაში განწყობის გადასვლის საშუალო ხარისხი ტიპიურია ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც განწყობაში მოცემულია ინტენცია რაიმე ობიექტზე, ინდივიდზე ან სიტუაციაზე. ეს არის ის პოტენციური შესაძლებლობა, რომლის მოქმედებაში გადასასვლელად ხშირად კიდევ საჭირო ხდება დამატებითი ხელშემწყობი ფაქტორების ამოქმედება. განწყობის მოცემული კატეგორიისთვის ყველაზე ადეკვატური დასახელებაა „დამოკიდებულება“. ინტენცია ობიექტზე ან ადამიანზე იმთავითვე დინამიური მომენტის, სწრაფვის შემცველია და ძნელი წარმოსადგენია ის, რომ ინდივიდს გააჩნდეს ინტენცია რაიმეზე ან ვინმეზე და მათ მიმართ ნეიტრალური, უმოქმედო რჩებოდეს. ინტენციის არსებობისას მისი თანმხლები ფსიქიკური შინაარსები ცნობიერების ველში აქტივობის გამომწვევ თვისებას იძენს. ასე რომ არ იყოს, სხვა შემთხვევაში, ცნობიერება თავისი შეზღუდული რესურსებით და ინდივიდისთვის აქტუალურ მოვლენებზე კონცენტრირების იმანენტური თვისებით არ დაიტვირთებოდა ინერტული და „უსარგებლო“ შინაარსებით. ამდენად, რაიმე მოვლენის მიმართ დამოკიდებულების ფლობისას ადამიანი უმოქმედო ვერ იქნება. კიდევ უფრო მძაფრდება ვითარება, როდესაც ქმედებისადმი მზაობის შემთხვევასთან გვაქვს საქმე. იგი მოქმედების განხორციელებისთვის ყველაზე უფრო სრულყოფილი, განვითარებული ფსიქიკური მდგომარეობაა და ქმედებაში გადასვლის მაქსიმალური სწრაფვით გამოირჩევა. განწყობის ამ კატეგორიას ყველაზე უფრო მეტად შეესაბამება დასახელება „ქმედებისთვის მზაობა“. იგი თვითკმარი მდგომარეობაა და მოქმედებაში გადასვლისთვის კიდევ დამატებითი ფაქტორების ამოქმედებას არ საჭიროებს, თუმცა აუცილებლობით ითხოვს ხელშემშლელი ფაქტორების მაქსიმალურ შემცირებას. ე.ი. თუ „დამოკიდებულების“ არსებობის შემთხვევაში ინდივიდის მიერ მოქმედების დასაწყებად საჭიროა ხელშემწყობი ფაქტორების არსებობა, „ქმედებისთვის მზაობის“ არსებობის შემთხვევაში, მის მიერ მოქმედების დასაწყებად აუცილებელია, რომ არ არსებობდეს ხელშემშლელი ფაქტორები.

გარდა ზემოთქმულისა, კიდევ გამოსაყოფია განწყობის 3 სახეობა მისი შემადგენელი კომპონენტების მიხედვით: კოგნიტური განწყობა, ემოციური განწყობა და კონატური განწყობა. პირველში დიდი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი კოგნიტური პროცესები, მეორეში - ემოციური პროცესები, ხოლო მესამეში ქმედების და ნებელობითი პროცესები. **კოგნიტურ განწყობის** დომინირების შემთხვევაში ადამიანი ძირითადად დაკავებულია პრობლემური საკითხების გააზრებით, სამოქმედო გეგმების დასახვით, პიროვნული განვითარებით, და ა.შ. მისი აქტივობა არ გადის პიროვნული „სივრცის“ ფარგლებს გარეთ. **ემოციური განწყობის** სამოქმედო სფეროს წარმოადგენს რაიმე ობიექტის თუ მოვლენის ემოციური აღქმა-შეფასების პროცესები და ადამიანთა შორის ურთიერთობები. ეს მოსაზრება ხშირად დასტურდება, როდესაც მეცნიერების ან პრაქტიკოსების მიერ შეისწავლება ზოგადად ადამიანის განწყობები. ასეთ გამოკვლევებში და მოვლენათა შეფასებებში ყოველთვის წინა პლანზეა წამოწეული განწყობის ემოციური კომპონენტი, ემოციური პროცესების ამოცნობის ინტერესი,

რომელსაც ვექტორის ფუნქცია გააჩნია. მისი მეშვეობით მიზნად ისახება სასურველი მიმართულებით ადამიანის ქცევის წარმართვა. ემოციური განწყობის კვლევა და მისი პრაქტიკული გამოყენება ყველაზე უფრო მეტ დაინტერესებას იმსახურებს მარკეტინგის სფეროში. სოციალური ურთიერთობების სხვა სფეროებშიც მას დიდი გამოყენება ეძებნება. მხოლოდ ემოციური განწყობის აქტივობის შემთხვევებშია შესაძლებელი ის რომ ვისაუბროთ განწყობის (დამოკიდებულების) დადებითობის ან უარყოფითობის შესახებ, ვინაიდან მხოლოდ ემოციას გააჩნია პოლარობა და ის შეიძლება იყოს ან დადებითი ან უარყოფითი. **კონატური განწყობის** აქტიურობის შემთხვევაში ადამიანი დაკავებულია საკუთარი სუბიექტური მდგომარეობის მოქმედებაში გაშლით. მოქმედების განწყობა ყველაზე მეტი აქტიურობით გამოირჩევა და ყველაზე მეტად არის მასში გამოვლენილი თავად განწყობის არსი, რაც მის საფუძველზე ქცევის განხორციელებაში მდგომარეობს. ამ კატეგორიის განწყობაში ყველა სახის აქტივობა, დაკავშირებული მოქმედების განხორციელებასთან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ესენია: მოქმედების სქემა, გადაწყვეტილების მიღება, ნებელობითი პროცესები და სხვ.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი თეორიული მსჯელობებიდან გამომდინარე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ განწყობისეული პროცესების რეგულირება ხდება შემდეგი ფაქტორების შეთანხმებული მოქმედების საუბრეზე:

1. განწყობის სამი კანონი

- „განწყობის კონტრასტური შეფასების კანონი“;
- „განწყობის ასიმილაციური მოქმედების კანონი“;
- „განწყობის ასიმილაციური მოქმედების და კონტრასტული შეფასების კანონი“.

2. განწყობის სამი სახეობა შეფასებების და მოქმედებების მიმართებათა მიხედვით

- „შეფასება-შეფასება“;
- „მოქმედება-შეფასება“;
- „მოქმედება-მოქმედება“.

3. განწყობის სამი კატეგორია მოქმედებაში გადასვლის ინტენსივობის (ალბათობის) მიხედვით

- „სუბიექტური მდგომარეობა“;
- „დამოკიდებულება“;
- „ქმედებისთვის მზაობა“.

4. განწყობის სამი ტიპი მისი კომპონენტების დომინირების მიხედვით

- „კოგნიტური განწყობა“;
- „ემოციური განწყობა“;
- „კონატური განწყობა“.

ამ მსჯელობებიდან გარკვევით ჩანს ადამიანის ქცევის განმაპირობებელი მექანიზმის - განწყობის - და მისი განხორციელების პირობების მრავალფაქტორულობა; აგრეთვე ის თუ რამდენი სახის შეიძლება არსებობდეს იგი და როგორი დაკვირვებულობაა საჭირო იმისთვის, რომ მის საფუძველზე სწორად შევაფასოთ და სწორად ვიწინასწარმეტყველოთ ადამიანის ქცევა. იმთავითვე უკუსაგდება აზრი იმის შესახებ, რომ განწყობა შეიძლება ყოველთვის არ განაპირობებდეს ადამიანის ქცევას. სრული დარწმუნებულობით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მიდგომა ზედაპირული მიდგომაა, რომელიც არ ითვალისწინებს განწყობის გამოვლინებების ზემოაღწერილ სირთულეს და მრავალფეროვნებას. ბუნებაში მოქმედი კანონებისთვის სრულებით

მიუღებელია ისეთი ვითარების დაშვება, რომ განწყობის მსგავსი ფუნდამენტური მექანიზმი ხან მოქმედებდეს და ხან არა. მეცნიერებაში აღიარებული „ემპირიული პოსტულატის“ მიხედვით, განწყობა, როგორც სუბიექტურ და ობიექტურ მოვლენათა შორის ურთიერთმიმართების გამაშუალებელი ფაქტორი, ყოველთვის ფუნქციონირებს. თუმცა ამ გამაშუალებლის ფუნქციონირების ეფექტიანობა შეიძლება იცვლებოდეს ხელშემწყობ თუ ხელშემშლელ ფაქტორთა ცვალებადობის მიხედვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ რაიმე მოვლენა ვერ ახდენს თავის რეალიზებას, ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ იგი მიჩნეული იქნეს არარსებულად. საჭიროა მხოლოდ ადეკვატური პირობების შერჩევა, რომ მან მთელი ძალით გამოავლინოს თავისი მოქმედება. არსებობს უცხოური გამოკვლევები, რომლებიც ამტკიცებენ იმას, რომ განწყობასა და ქცევას შორის გარკვეულ შემთხვევებში კორელაცია არ ფიქსირდება [3], [4]. ეს მეცნიერთა მცდარ დასკვნებად უნდა ჩაითვალოს, იქიდან გამომდინარე, რომ მათში ყოველთვის არ არის გათვალისწინებული განწყობის „გამზომი“ მეთოდების გაზომვის ცდომილება. აგრეთვე რაც უფრო მატულობს განწყობის ზოგადობა, მით უფრო რთულდება მისი ადეკვატური შესწავლის მეთოდის შემუშავება, უფრო მატულობს გაზომვის ცდომილება და მით უფრო მეტად გადის ასეთი განწყობა ქცევასთან მისი კავშირის დადასტურების შესაძლებლობის არეალიდან [5]. ძალიან ზოგადი განწყობების შემთხვევაში სრულიად მიუწვდომელი ხდება ქცევასთან მისი კავშირის დაფიქსირება განწყობის გამზომი მეთოდის არასაკმარისობის მატების გამო. ეს ის შემთხვევებია, როდესაც მეცნიერებაში აღიარებულ პოსტულატებზე დაფუძნებული თეორიული მსჯელობები გაცილებით უფრო ახლო დგას ჭეშმარიტებასთან ვიდრე ემპირიული კვლევები მათთვის დამახასიათებელი შეზღუდვებით და შეცდომებით. ამრიგად, ხსენებულ კვლევებში განწყობის მუდმივი ფუნქციონირების უტყუარობის ეჭვის ქვეშ დაყენება ეფუძნება მცდარ წანამძღვრებს და ნაკლებად არის მხედველობაში მისაღები.

ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტებში მრავალჯერ ეკსპონირებული არატოლი ობიექტების შეფასების საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ „ტოლობის“ სუბიექტური შეფასება, რომელიც განიცდის ცვალებადობას ჯერ ზემოქმედი არატოლი ობიექტებისადმი მიმსგავსების მიმართულებით საგანწყობო ცდებში, ხოლო შემდეგ ტოლი ობიექტებისადმი მიმსგავსების მიმართულებით კრიტიკულ ცდებში. ეს ნიშნავს იმას, რომ განწყობის ფორმირების პროცესში (სხვაგვარად, გარემოსთან „ადაპტაციის“ პროცესში) ინდივიდის მიერ სინამდვილის მოვლენათა შეფასების საფუძვლად გვევლინება ისეთი სტრუქტურის მქონე განწყობა, რომელიც სულ უფრო მეტად ემსგავსება ფსიქიკაში ასახულ აქტუალურად ზემოქმედ სტიმულაციას. ეს ყოველივე განწყობისეულ პროცესებში მონაწილე „მოდულიზაციის ფაქტორის“ მოქმედების შედეგს წარმოადგენს, რომელიც განწყობის „ფიქსაციის ფაქტორთან“ ერთად განაპირობებს ხსენებულ პროცესთა ფართოდ ცნობილ მრავალფეროვნებას [6, 189-192]. განწყობის ფიქსაციის აღწერილი პროცესი ფაქტობრივად წარმოადგენს ინდივიდის ადაპტაციის მოდელირებულ პროცესს, რომელშიც ადგილი აქვს მასზე არატოლი ობიექტების ზემოქმედების შედეგად „სუბიექტური ტოლობის“, როგორც შეფასების ათვლის წერტილის წანაცვლებას. ამ „სუბიექტური ტოლობის“ წანაცვლების შედეგად აღმოცენდება მიწოდებული ტოლი ობიექტების კონტრასტულად არატოლი შეფასება. შეფასებათა ამ ათვლის სისტემაში მომხდარი ცვლილებების ლოგიკა გვიბიძგებს ვიფიქროთ, რომ ხშირი მოვლენები თანდათანობით ხდება იშვიათი მოვლენების

შეფასების საფუძველი. ეს დებულება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ადამიანებს თანდაყოლილი ათვისების სისტემები და მოვლენათა შეფასების კრიტერიუმები არ გააჩნიათ, ამას ისინი იძენენ ონტოგენეტიური განვითარების პროცესში. სწორედ ამ პროცესში ხდება ხშირი მოვლენებისთვის დომინანტური მნიშვნელობის მინიჭება, მათი გადაქცევა სხვა მოვლენების შეფასების საფუძვლად. ევოლუციურად ეს საკვებით გამართლებულია, ვინაიდან განმეორებადი მოვლენის შესწავლა უფრო სრულყოფილად ხდება, აქედან შესაძლებელი ხიფათების თავიდან აცილების შესაძლებლობები მატულობს, იგი მეტად იმსახურებს ინდივიდის ნდობას, მასზე დაყრდნობა მიიჩნევა გამართლებულად და ამიტომ ის ხდება საფუძველი ნაკლებად ხშირი და მეტი განუსაზღვრელობის შემცველი მოვლენების შეფასებისთვის.

იგივე ლოგიკით შეიძლება მსჯელობების განვითარება განწყობის, მეორე კატეგორიის - დამოკიდებულების - შესახებ. ეს განსაკუთრებული კატეგორიაა, რომელსაც ადამიანებს შორის ყველაზე მეტად აქვს გავრცელება და გამოყენება. იგი გამოირჩევა ნაკლები კატეგორიულობით, ვიდრე როგორც „სუბიექტური მდგომარეობის“ და „ქმედებისადმი მზაობის“ ტიპების შემთხვევებშია მოცემული. მოქმედებაში გადასვლის ტენდენციის თვალსაზრისით ამ ორიდან პირველი არის საშუალოზე უფრო სუსტი ტენდენციის, ხოლო მეორე - საშუალოზე უფრო ძლიერი ტენდენციის. ერთი ჩვეულზე უფრო დაბალი აქტივობაა, ხოლო მეორე - ჩვეულზე უფრო მაღალი, რის გამოც ორივე გამოირჩევა განხორციელების უფრო ნაკლები ალბათობით. ბუნების მიერ განსაზღვრულ, აქტივობის საშუალო ტონუსზე უფრო დაბალი აქტივობა, ნორმალურ შემთხვევებში, ისეთივე დისკომფორტულია, როგორც საშუალო ტონუსზე უფრო მაღალი აქტივობა. ამიტომ იმსახურებს „დამოკიდებულების“ კატეგორია (ოპტიმალური აქტივობა), როგორც განწყობის ყველაზე უფრო კომფორტული კატეგორია, ადამიანთა მიერ მეტ გამოყენებას და ასევე მკვლევართა მეტ ყურადღებას მისი ფართო შესწავლის მიზნით. ზემოთ განხილული განწყობისეული პროცესების მსგავსად, დამოკიდებულების შემთხვევაში სუბიექტური ტოლობის სანაცვლოდ ფიგურირებს ნეიტრალური შეფასება („სუბიექტური ნული“). ამ შემთხვევაში ადაპტაციის პროცესი განაპირობებს ინდივიდის ნეიტრალური შეფასების მიახლოებას (წანაცვლებას) რაიმე მოვლენის თავდაპირველ შეფასებასთან. ადაპტაცია განხორციელებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდება რაიმის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულების შემუშავება (ანუ დამოკიდებულების „განულება“). ამ შემთხვევაშიც ერთი მიმართულებით ნეიტრალური შეფასების წანაცვლების შედეგად აღმოცენდება კონტრასტული შეფასება საპირისპირო მიმართულებით.

„სუბიექტური ნული“ (ნეიტრალური შეფასება) წარმოადგენს ყველაზე უფრო კომფორტულ ზონას შეფასებისა და მოქმედების საწარმოებლად. სწორედ ამ ზონაში ხორციელდება განწყობისთვის დამახასიათებელი იმპულსური აქტივობები. მის ფარგლებს გარეთ აღმოცენდება აქტივობათა განხორციელებისთვის აუცილებელი მეტი ძალისხმევების გაღების საჭიროება. სავარაუდოდ ამის გამო ამჯობინებენ ადამიანები ადაპტაციის შედეგად მიღწეული ჩვეული სქემებით აქტივობას (შეფასებას და მოქმედებას). სასიცოცხლო ძალთა ეკონომიის პრინციპით აქტივობა, ზოგადად, ცოცხალი ბუნებისთვისაა დამახასიათებელი და ვერც ადამიანი იქნება აქედან გამონაკლისი [7]. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ძალთა ეკონომიასაც გააჩნია თავისი

ოპტიმალური ფარგლები, რომელთა მიღმაც აქტივობა ღებულობს არაადეკვატურ და არამიზანშეწონილ ხასიათს.

განწყობისეულ შეფასებაში, რომელშიც ფიგურირებს ობიექტების ერთმანეთთან შედარების პროცედურა, უფრო მეტად არის გამოკვეთილი რაოდენობრივი ასპექტი. მას ყოველთვის მეტი ყურადღება ეთმობოდა განწყობის კლასიკურ კვლევებში, რომლებშიც უფრო ტიპიურად ითვლებოდა ობიექტის, ობიექტებს შორის არსებული მიმართების და მათთან დაკავშირებული პროცესების შეფასება ობიექტურ საზომ ერთეულებში. რაც შეეხება დამოკიდებულებას, მასში უფრო მეტად არის წარმოდგენილი ინდივიდის თვისებრივი მიმართება რაიმე მოვლენასთან. იგი უფრო ტიპიურია ადამიანების, ადამიანებს შორის ურთიერთობების და მათთან დაკავშირებული პროცესების მიმართ გარკვეული პოზიციის შემუშავების შემთხვევებში.

განწყობა, როგორც სპეციფიკური ფსიქიკური მდგომარეობა, ინდივიდის გარკვეული მიმართების გამომხატველია რაიმე ობიექტის, მოვლენისა თუ ადამიანისადმი; ობიექტებსა და მოვლენებს შორის მიმართებებისადმი; ადამიანებისადმი, ერთმანეთის მიმართ მათი დამოკიდებულებებისადმი და ა.შ. ყველგან და ყოველთვის ადგილი აქვს ერთსა და იგივე მოვლენას: გარემოსთან შეგუების პროცესში მოვლენათა შეფასებისთვის და სათანადო მოქმედების განხორციელებისთვის ერთიანი მზაობის - განწყობის - შემუშავებას ან წარსულში შემუშავებული განწყობის აქტუალიზაციას და მის საფუძველზე ადეკვატური მოქმედების განხორციელებას. შეფასებითი აქტივობა ეტალონთან ობიექტის შედარების ოპერაციის საფუძველზე ხორციელდება და უფრო პროცესუალური ხასიათი გააჩნია. დამოკიდებულება, როგორც განწყობის მეორე გამოვლინება, განვითარებული პროცესების შედეგად მიღწეული ფსიქიკური მდგომარეობაა, რომელიც სხვა ობიექტზე ინტენციასაც შეიცავს და, როგორც არსებული მოცემულობა, შედარების ოპერაციას აღარ საჭიროებს. როგორც არ არსებობს შეფასება შედარების ოპერაციის გარეშე, ისე არ არსებობს დამოკიდებულება შედარების ოპერაციის მონაწილეობით. ისინი ერთი მოვლენის ორი მხარეა და განსხვავებულ თვისებრიობებს წარმოადგენენ, ისე როგორც ფორმა და შინაარსი.

დამოკიდებულება, როგორც პიროვნების განწყობის გამოვლინება, არაერთი ცნობილი მეცნიერის შესწავლის საგანი გახდა (ჰაიდერი, ოსგუდი და ტანენბაუმი, ფესტინგერი, ფიშბენი, უილიამსი და სხვ.), რაც ადამიანის ქცევისთვის მის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს. თუ მოვლენათა შეფასების ამოცანებში ადგილი აქვს ურთიერთსაპირისპირო დამოკიდებულებას შეფასებასა და მოქმედებას შორის, დამოკიდებულების ჩამოყალიბების შემთხვევებში აღინიშნება მასთან მოქმედების შესაბამისობა. ეს ანიჭებს მოვლენისადმი ინდივიდის დამოკიდებულებას მისი მოქმედების პრედიქტორის მნიშვნელობას. დამოკიდებულების ჩამოყალიბება არის იგივე განწყობის შემუშავების პროცესი, რომელიც, თავის მხრივ, ადაპტაციის პროცესის გამოხატულებაა. ალბათ ამის გამო ხდება ის, რომ დამოკიდებულების შეცვლა ითხოვს გარკვეულ დროის შუალედის გავლას, შეფასებათა ცვლილებას, რაც ინდივიდის მიერ მარტივ და ადვილ ამოცანად არ განიცდება. როგორც წესი მიჩნეულია, რომ დამოკიდებულების შეცვლა, საუკეთესო შემთხვევაში, რთული და დროის მომთხოვნი პროცესია, ხოლო სხვა შემთხვევებში - შეუძლებელიც კი.

დამოკიდებულებისთვის, ისევე როგორც ტრადიციულად გაგებული ფიქსირებული განწყობისთვის, დამახასიათებელია კონტრასტ-ასიმეტრიის ეფექტები,

რომლებიც იდივიდში აღმოცენდება რაიმე მოვლენის მიმართ სხვა ინდივიდის მიერ გამოვლენილი დამოკიდებულების შეფასებისას. რაიმეს მიმართ ინდივიდის მიერ დამოკიდებულების შემუშავების პროცესი უნდა განიხილებოდეს ისევე, როგორც განწყობის ფიქსაციის პროცესი (განწყობის საფიქსაციო ეტაპის ანალოგი კლასიკურ ცდებში), ხოლო იგივე მოვლენის მიმართ სხვა ინდივიდის მიერ გამოვლენილი განსხვავებული დამოკიდებულების შეფასება პირველის მიერ უნდა ჩათვალოს კრიტიკულ შეფასებად (განწყობის კრიტიკული შეფასების ეტაპის ანალოგი კლასიკურ ცდებში). ამ შემთხვევაში ინდივიდისთვის სხვისი ნეიტრალური დამოკიდებულების ჩვენება იქნება ზუსტი ანალოგი ფიქსირებული განწყობის კრიტიკულ ცდებში ტოლი ობიექტების მიწოდების.

ერთი და იგივე მოვლენის მიმართ A ინდივიდს თუ გააჩნია უარყოფითი დამოკიდებულება და B ინდივიდი მის მიმართ ამჟღავნებს ნეიტრალურ დამოკიდებულებას, მაშინ A ინდივიდის მიერ B ინდივიდის ნეიტრალური დამოკიდებულება შეფასდება დადებით დამოკიდებულებად, რაც ამ შემთხვევისთვის კონტრასტულ შეფასებას წარმოადგენს. იგივე სურათი გვეძლევა საპირისპირო შემთხვევაშიც, თუ რაიმე მოვლენის მიმართ A ინდივიდს გააჩნია დადებითი დამოკიდებულება და B ინდივიდი მის მიმართ ამჟღავნებს ნეიტრალურ დამოკიდებულებას, მაშინ A ინდივიდის მიერ B ინდივიდის ნეიტრალური დამოკიდებულება შეფასდება ნეგატიურ დამოკიდებულებად [7].

როგორც ზემოთ ითქვა, განწყობათა მთელი სიმრავლე მოქმედებაში გადასვლის ხარისხის მიხედვით იყოფა მინიმუმ სამ კატეგორიად: 1. სუბიექტური მდგომარეობა; 2. დამოკიდებულება; 3. ქმედებისთვის მზაობა. ამგვარად, „დამოკიდებულება“ განწყობის ნაირსახეობას წარმოადგენს. თავის მხრივ, განწყობა თავს ავლენს ასიმილაციისა და კონტრასტის ეფექტებში. ეფექტების ტრადიციული გაგება დამოკიდებულებისთვის შეიძლება საკმარისი არ იყოს, რის გამოც ისინი ითხოვს დაზუსტებას. ყველაზე პრობლემურს წარმოადგენს ასიმილაციის ცნება, რომელიც გამოიყენება მეცნიერების მრავალ დარგში სხვადასხვა მნიშვნელობით, მათ შორის ფსიქოლოგიაშიც. ამდენად უფრო გამართლებულია ასიმილაციის ნაცვლად ისეთი ცნების გამოყენება, რომელიც უკეთ გამოხატავს მოვლენის არსს და არ იქნება მრავალმნიშვნელოვანი. ასეთია კონგრუენტულობის ცნება. რაც შეეხება კონტრასტის ცნებას, ისიც არ არის მოვლენის სრულყოფილად გამომხატველი და ასევე ითხოვს ჩანაცვლებას უფრო ადეკვატური ცნებით. ასეთია რევერსიის ცნება, რომელიც საპირისპიროობას უფრო გარკვევით აღნიშნავს, ვიდრე კონტრასტის ცნება. კონტრასტი განსხვავების სიმკვეთრის აღმნიშვნელია და არა საპირისპიროობის (როგორც არის რევერსიის შემთხვევაში), რაც მისი არსებითი ნაკლია და, ამის გამო, მოვლენის კორექტულ აღწერას პრობლემურ ხდის.

დამოკიდებულება განწყობის სხვა კატეგორიებთან შედარებით გაცილებით უფრო მეტ გავრცელებას და გამოყენებას პოულობს. იგი შეიცავს ინტენციას ობიექტზე, ადამიანზე ან სიტუაციაზე და ამიტომ მასში ჩართულია მოქმედების განხორციელების პოტენციური შესაძლებლობა წინასწარი მზაობის სახით. თუმცა მისი განხორციელების ალბათობა მაღალი არ არის და საჭიროა დამატებითი ხელშემწყობი ფაქტორების გააქტიურება. როგორც „განწყობის ასიმილაციური მოქმედების და კონტრასტული შეფასების კანონი“ გვამცნობს, ერთი განწყობის საფუძველზე აღმოცენდება ერთდროულად ორი საპირისპირო აქტივობა - ასიმილაციური მოქმედება და

კონტრასტული შეფასება. იგივე მოვლენას აქვს ადგილი დამოკიდებულების შემთხვევაშიც [2], [7]. თუკი დამოკიდებულებისთვის ასიმილაციის შემცველად კონგრუენტულობა იქნება გამოყენებული, ხოლო კონტრასტის შემცველად გამოყენებული იქნება რევერსია, მაშინ აღნიშნული კანონის ძირითადი ცნებების ამგვარი დაზუსტების შემდეგ, ხოლო თავად მოვლენის ახლებური გააზრების, განზოგადების და განვითარების საფუძველზე დამოკიდებულების ფუნქციობის კანონისთვის მივიღებთ შემდეგ ფორმულირებას: „**დამოკიდებულების კონგრუენტული მოქმედების და რევერსული შეფასების კანონი**“. კანონის ეს მოდიფიკაცია უფრო ადეკვატურად აღწერს ადამიანის ქცევის თავისებურებას. მასში მკაფიოდ არის ნაჩვენები დამოკიდებულების შესაბამისობა ქცევასთან; ის თუ რაოდენ წარმატებით შეიძლება ვიმსჯელოთ დამოკიდებულების შესწავლის შემთხვევაში ინდივიდის მოსალოდნელი ქცევის შესახებ. ამის საშუალებას იძლევა კონგრუენტულობის ცნება, რომელიც ცალსახად მიანიშნებს დამოკიდებულებისა და მოქმედების შესაბამისობაზე. ყოველივე ეს არ ითქმის ასიმილაციის შესახებ მისი ზოგადობისა და მრავალმნიშვნელობის გამო. რაც შეეხება რევერსიას, იგი უფრო ზუსტად მიანიშნებს იმაზე, რომ ადგილი აქვს საპირისპირო შეფასების აღმოცენებას და არა მხოლოდ მკვეთრად განსხვავებულ შეფასებას, რაც კონტრასტის ეფექტის მნიშვნელობაში იგულისხმება. შეფასების საპირისპიროობას აქვს პრინციპული მნიშვნელობა განწყობის მოვლენის კორექტული აღწერისთვის და ადეკვატური გააზრებისთვის. სხვაგვარად ირღვევა განწყობის ეფექტების გამოვლენის ლოგიკა. გარდა ამისა, დამოკიდებულების ფუნქციობის შემთხვევაში უპირატესად საქმე გვაქვს ადამიანებს შორის ურთიერთობასთან, რაც მაღალი დონის და მნიშვნელობის მქონე განწყობისეულ პროცესებს წარმოადგენს. მოყვანილ მსჯელობებზე დაყრდნობით, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ „დამოკიდებულების კონგრუენტული მოქმედების და რევერსული შეფასების კანონის“ ეს ფორმულირება, რომელიც წარმოადგენს ზემოგანხილული განწყობის მოქმედების კანონის განახლებულ, მოდიფიცირებულ და განვითარებულ ვერსიას, გამოირჩევა ადამიანის სათანადო დონის ფსიქიკური და ქცევითი აქტივობების უფრო ადეკვატური აღწერით და მეტი პრედიქტორული მნიშვნელობით, რაც მას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში უხსნის ფართო გამოყენების პერსპექტივებს.

ამრიგად, როგორც განწყობის შესახებ ზემოთ განვითარებული მსჯელობებიდან ჩანს, განწყობათა დიდი მრავალფეროვნებიდან, რაც მინიმალისტური გათვლებით 27-ს აღწევს ($3 \times 3 \times 3 = 27$), ყველაზე მოწინავე პოზიციას იკავებს „**დამოკიდებულება**“. იგი გარკვეული წესით ასოცირდება „მოქმედება-შეფასების მიმართებებთან და აგრეთვე „ემოციური განწყობის“ ტიპთან. სხვა დანარჩენი შემთხვევების განხილვა შეიძლება საფუძვლად დაედოს განწყობათა ისეთ განახლებულ სისტემატიზაციას, რომელსაც მოეძებნება მეტი გამოყენება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. კონგრუენტულობის ჩართვა დამოკიდებულების სტრუქტურის გააზრებაში განსაკუთრებით შედეგიანია როგორც დამოკიდებულების შესწავლიდან ინდივიდის ქცევაზე დასკვნის კეთების საკითხში (მიზეზიდან შედეგზე), ისე განხორციელებული ქცევის შესწავლიდან დამოკიდებულებაზე დასკვნის კეთების საკითხში (შედეგიდან მიზეზზე), რაც ქმნის უფრო სრულყოფილ სურათს ადამიანის ქცევის მამოძრავებელი მექანიზმების შესახებ.

ლიტერატურა

1. ნადირაშვილი შოთა. განწყობის ფორმირება და სენსომოტორული აქტივობა. - წიგნ.: ექსპერიმენტული კვლევები განწყობის ფსიქოლოგიაში. თბილისი, 1971, გვ. 90-98.
2. ნადირაშვილი შოთა. განწყობის ანთროპული თეორია. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, მეცნიერება, თბილისი, 2014.
3. Peter J.P. and Olson J.C. Consumer behaviour and Marketing Strategy (2nd edn), Irwin, 1990.
4. ქრის რაისი. შვეიცნოთ მომხმარებელი (მომხმარებლის ქცევა). ტექინფორმი, 2001.
5. The Individual in the Economy. Cambridge University Press. 1987.
6. Горошидзе Г. Об отражении фактора модификации в проявлении фиксированной установки. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 101, N 1, 1981, გვ. 189-192.
7. გოროშიძე გიორგი. განწყობისეული ადაპტაცია შეფასებისა და დამოკიდებულების ფორმირებაში. დიმიტრი უზნაძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 62-69.

Article received 2018-09-18